ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №2018/277

ქ.თბილისი

29 ნოემბერი, 2018 წელი

ერთი მხრივ, **საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“** (იურიდიული მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-10 კმ.), წარმოდგენილი - ეკონომიკური სამსახურის უფროსის კობა ხუბუნაიას სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორე მხრივ, **სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია** (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი რექტორის ივანე პაპიაშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია „მიმწოდებლის“ მიერ „შემსყიდველისათვის“ „საცეცხლე მომზადების სფეროში“ სპეციალური გადამზადების კურსის (შემდგომში - „შესყიდვის ობიექტი“) შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს, სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-ს, აღსრულების პოლიციის სამმართველოს **30 (ოცდაათი)** თანამშრომლისთვის სპეციალური გადამზადების კურსის გავლა „საცეცხლე მომზადების სფეროში“, ხელშეკრულების დანართი №1-ისა (ხარჯთაღრიცხვა) და დანართი N2-ის (ტექნიკური დავალება) შესაბამისად, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

1.3 შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: 80620000.

2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **4'980,00 (ოთხი ათას ცხრაასოთხმოცი ლარი და 00 თეთრი)** ლარს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით (მათ შორის დღგ-ს ჩათვლით).

2.2. შესყიდვის ობიექტის დასახელება, რაოდენობა და ერთეულის ფასები მოცემულია დანართ №1-ში.

3. შესყიდვის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. „საცეცხლე მომზადების სფეროში“ სპეციალური გადამზადების კურსის ჩატარების პერიოდი: 2018 წლის 03 **დეკემბრიდან - 2018 წლის 07 დეკემბრის ჩათვლით.**

3.2. აღნიშნული კურსის განხორციელდება შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, გმირი კურსანტების ქუჩა N4.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად, ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2. 4.1 პუნქტით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-ს ეკონომიკური სამსახურის, ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილების მთავარი ბუღალტერი (განყოფილების უფროსი) - მაია ყალიჩავა/ან მთავარი ბუღალტრის (განყოფილების უფროსის) მოვალეობის შემსრულებელი.

5. ანგარიშსწორების ფორმა, ვადა და ადგილი

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე 2018 წელს მიღებული შემოსავლებით.

5.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ლარში, მომსახურების გაწევის შემდეგ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე, წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

**6.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:**

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება.

**6.3. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს:**

- განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

- მოსთხოვოს მიმწოდებელს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის კონტროლის შედეგად გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრა შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

6.4. **მიმწოდებელი ვალდებულია:**

- მიაწოდოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- შესაბამისი წერილობითი შეტყობინებიდან 3 (სამი) დღის ვადაში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრა;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

6.5. **მიმწოდებელს უფლება აქვს:**

- მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

## 7. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

7.1 მიმწოდებლის მიერ აღებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

7.2 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებენ: სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო"ს ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამსახურის უფროსი - მადონა ურდულაშვილი/ან სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი და სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო"-ს აღსრულების პოლიციის სამმართველოს, პირველი რანგის პირველი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ვალერიან თუხარელი/ან ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი (შემდგომში „ინსპექტირების ჯგუფი").

7.3 ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:

7.4 გაუწიოს კონტროლი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადების დაცვას;

7.5 დაადგინოს გაწეული მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;

7.6 გააფორმოს მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტი, უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

## 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

8.1. წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ასეთ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02% -ის ოდენობით.

8.2. წინამდებარე ხელშეკრულების 1.2 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი მომსახურების ან წუნდებით შესრულებული მომსახურების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით. მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.3. თუ ხელშეკრულების ერთი მხარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, მეორე მხარე წერილობითი ფორმით უწესებს მას დამატებით ვადას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებისათვის.

8.4. ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ დამატებით ვადაში ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

8.5. თუ ერთი მხარისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

8.6. ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობიდან.

## 9. ფორს-მაჟორული სიტუაციები

9.1. მხარეები პასუხისმგებელნი არ არიან თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ის გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ხელისშემშლელ გარემოებათა აღმოფხვრის შემდეგ.

9.2. თუ ფორს-მაჟორული გარემოებების გამო სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობა გრძელდება ორ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება,

კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

**10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა**

10.1. ხელშეკრულებების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევაშიც ფასის ცვლილება დასაშვებია არაუმეტეს 10%-ისა.

10.2. ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. ნებისმიერი ცვლილება და დამატება ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერ ცვლილებაზე უნდა გაფორმდეს შეთანხმება, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

**11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

**12. დავა და მისი გადაწყვეტის წესი**

12.1. წამოჭრილი დავა ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყდეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. თუ შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოლაპარაკებების დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**13. სხვა პირობები**

13.1. საკითხები, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან, 2 (ორი) ეგზემპლარი „შემსყიდველთან“, 1 (ერთი) ეგზემპლარი „მიმწოდებელთან“. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

**14. მხარეთა რეკვიზიტები:**

**„შემსყიდველი“**

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს**
**მმართველობის სფეროში მოქმედი**
**სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“**
თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-10 კმ.
ბანკის კოდი: TRESGE22
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა;
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში;
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 707453459;
საიდენტიფიკაციო კოდი: 205263873.

______________________

**კობა ხუბუნაია**
**ეკონომიკური სამსახურის უფროსი**

**„მიმწოდებელი“**

**სსიპ „საქართველოს შინაგან საქმეთა**
**სამინისტროს აკადემია“**
მის: გმირი კურსანტების ქუჩა N4
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა;
ბანკის კოდი: TRESGE22
მიმღების ანგარიში: 707977151
საიდენტიფიკაციო კოდი: 209457628

______________________

ივანე პაპიაშვილი
შსს აკადემიის რექტორი

დანართი №1

„საცეცხლე მომზადების სფეროში“ სპეციალური გადამზადების კურსის

ხარჯთაღრიცხვა

| N | მომსახურების დასახელება | მონაწილეთა რაოდენობა | ერთეულის ღირებულება (ლარი) | საერთო ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|
| 1 | „საცეცხლე მომზადების სფეროში“ 12 საათიანი სპეციალური გადამზადების კურსი. | 30 | 166,00 | 4 980,00 |
| სულ ჯამი: | | | | 4 980,00 ლარი |

„შემსყიდველი“
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
მმართველობის სფეროში მოქმედი
სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“

კობა ხუხუნაია
ეკონომიკური სამსახურის უფროსი

„მიმწოდებელი“
სსიპ „საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს აკადემია“

ივანე პაპიაშვილი
შსს აკადემიის რექტორი

დანართი N2

„საცეცხლე მომზადების სფეროში“ სპეციალური გადამზადების კურსის

ტექნიკური დავალება

| | |
|---|---|
| კურსი | საღსრულებო პოლიციის თანამშრომელთა საცეცხლე მომზადების კურსი |
| კურსის ხანგრძლივობა: | 12 სთ |
| კურსის მიზნები: | საღსრულებო პოლიციის თანამშრომელთა მიერ, სამსახურში არსებული ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის, მოვლის, ტარების და გამოყენების წესების შესწავლა. |
| სწავლების ენა: | ქართული |
| სწავლის და სწავლების მეთოდები | სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები;<br>➢ *ცოდნის და გაცნობიერების მიღწევის მეთოდები:*<br>• ლექცია - სემინარი;<br>• დემონსტრირების მეთოდი;<br>• პრაქტიკული სავარჯიშოები.<br>➢ *ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის მიღწევის მეთოდები:*<br>• სროლა ცეცხლსასროლი იარაღიდან. |
| სწავლის შედეგები | ცოდნა/გაცნობიერება<br><br>კურსდამთავრებულს ეცოდინება:<br>➢ ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლისათვის საჭირო საკითხები (საბრძოლო დგომი, სუნთქვა, დამიზნება, დასხლეტა) და სასროლეთში უსაფთხოების წესების დაცვა;<br>➢ დამიზნების რაიონის შერჩევა, ზუსტი სროლა და საფრთხეების ადექვატურად აღქმა;<br>➢ ცეცხლსასროლ იარაღთან უსაფრთხოდ მოპყრობა, რაც გულისხმობს ცეცხლსასროლი იარაღის მუდმივად უსაფრთხო ადგილისკენ მიმართვას და სასროლი თითის მუდმივად სასხლეტის გარეთ დატოვებას სროლის საჭიროებამდე;<br>➢ ცეცხლსასროლი იარაღის უსაფრთხოდ დამუხტვა-განმუხტვა.<br>➢ პოლიციელის თვითგადარჩენისათვის აუცილებელი უნარები;<br><br>დასკვნისა და კომუნიკაციის უნარი<br><br>კურსდამთავრებული შეძლებს:<br>➢ ძალის გამოყენების შემდგომ, დაასაბუთოს საკუთარი ქმედების მართებულობა და გასცეს კითხვებს დასაბუთებული პასუხი.<br>➢ დაარწმუნოს სამართალდამრღვევი შეწყვიტოს მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ამასთანავე მყისიერად მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილებები; |

| კოდი | სასწავლო მოდული | ხანგრძლივობა(სთ) | შეფასების ფორმა |
|---|---|---|---|

| 1. | საცეცხლე მომზადება. | 12 | ჩათვლა 2 სთ. |
|---|---|---|---|
| | | | |

საგანი: საცეცხლე მომზადება (12 სთ)
კოდი N1

| მიზანი: | მსმენელმა შეძლოს, დაეუფლოს ცეცხლსასროლი იარაღის (პისტოლეტი) უსაფრთხოდ სარგებლობის და გამოყენების წესებს. |
|---|---|

კურსის შინაარსი

| კოდიN1 | ლექციის თემა | ქვიზი | პრაქტიკული | სწავლის შედეგები |
|---|---|---|---|---|
| 1/1 | | | მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის უსაფრთხო მოპყრობის წესები(საშტატო პისტოლეტის), არასრული დაშლა-აწყობა,დამუხტვა-განმუხტვა. | **ცოდნა/გაცნობიერება**<br>კურსდამთავრებული შეძლებს:<br>➢ ცეცხლსასროლ იარაღთან უსაფრთხო მოპყრობას, სროლისათვის საჭირო საკითხებისა და სასროლეთში უსაფთხოების წესების დაცვას.<br>➢ უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით სამსახურებრივ საშტატო ან პირად საკუთრებაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღის დაშლა-აწყობას, შეზეთვას, წმენდას, მოვლას. |
| 1/2 | | | მჭიდის ტაქტიკური და სწრაფი გამოცვლა სროლისას წარმოქმნილი შეფერხებების სწრაფი აღმოფხვრა.(შეფერხება #1 , #2 ,#3,#4,#5) | **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**<br>კურსდამთავრებული შეძლებს:<br>➢ ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლისას მოულოდნელად წარმოქმნილი შეფერხების სწრაფად და ეფექტურად აღმოფხვრას. |
| 1/3 | | | სროლის წესები, უსაფრთხოება, 5 მეტრის დისტანციიდან მცირე ზომის სამიზნეში საბრძოლო ვაზნის გასროლა (6 ვაზნა თითო მსმენელზე) | **ცოდნა გაცნობიერება**<br>კურსდამთავრებული შეძლებს:<br>➢ გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი (კერძოდ მოკლელულიანი, ნაჭდევებიანი ცხრა მილიმეტრის პისტოლეტის ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი) ისე, რომ დაიცვას როგორც საკუთარი, მეწყვილის, ისევე გარშემომყოფთა უსაფრთხოება;<br>➢ 5 მეტრამდე მანძილზე განახორციელოს შედეგიანი გამიზნული გასროლა, რაც დაფუძნებულია იარაღის სწორ დაჭერაზე, დგომზე, სუნთქვაზე, დასხლეტის და დამიზნების ცოდნაზე . |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1/4 | | | სროლის წესები, უსაფრთხოება, 15 მეტრის დისტანციიდან სამიზნეში საბრძოლო ვაზნის გასროლა (8 ვაზნა თითო მსმენელზე) | **ცოდნა გაცნობიერება**<br>კურსდამთავრებული შეძლებს:<br>➢ გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი (კერძოდ მოკლელულიანი, ნაჭდევებიანი ცხრა მილიმეტრის პისტოლეტის ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი) ისე, რომ დაიცვას როგორც საკუთარი, მეწყვილის, ისევე გარშემომყოფთა უსაფრთხოება;<br>➢ 5 მეტრამდე მანძილზე განახორციელოს შედეგიანი გამიზნული გასროლა, რაც დაფუძნებულია იარაღის სწორ დაჭერაზე, დგომზე, სუნთქვაზე, დასხლეტის და დამიზნების ცოდნაზე . |
| 1/5 | | | სროლის წესები, 5 მეტრის დისტანციიდან სწრაფსროლები სხვადასხვა სამიზნეზე საბრძოლო ვაზნის გასროლა (იარაღის ამორება დამუხტვა,სხვადასხვა სამიზნის შერჩევა, დაზიანება ოთხი წამის განმავლობაში,10 ვაზნა თითო მსმენელზე) | **ცოდნა გაცნობიერება**<br>კურსდამთავრებულს შეძლებს:<br>➢ შეძლებს უეცრად გამოცენილ სამიზნეზე სწრაფ რეაგირებას და დაზიანებას. |
| 1/6 | | | სხვადასხვა ფერისა და ფორმის ფიგურების დაზიანება გარკვეულ დროში, დისტანცია 5 მეტრი( 10 ვაზნა.) | **ცოდნა გაცნობიერება**<br>კურსდამთავრებულს შეძლებს:<br>➢ ინფორმაციის დამახსოვრებას და სწრაფ მოქმედებას. |

შენიშვნა:

➢ კურსის შეფასება ხორციელდება საცეცხლე ტირში - მაქსიმალური 40 ქულა. (მინიმალური ბარიერი 70 %, 28 ქულა) ოთხი გასროლა 15 მეტრიდან, გადარბენა 7 მეტრიან საფარში და მჭიდის სწრაფი შეცვლა. საფარიდან გადასვლა 5 მეტრიან საცეცხლე ზღუდეზე, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ორი ფიგურის დაზიანება თითო გასროლით და ასევე ორი სხვადასხვა სამიზნის დაზიანება თითო გასროლით.(8 ვაზნა თითო მსმენელზე).

„შემსყიდველი"
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
მმართველობის სფეროში მოქმედი
სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო"

კობა ხუბუნაია
ეკონომიკური სამსახურის უფროსი

„მიმწოდებელი"
სსიპ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
აკადემია"

ივანე პაპიაშვილი
შსს აკადემიის რექტორი

**ხელწერილი**

**ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ**

**ქ. თბილისი** **29 ნოემბერი, 2018 წელი**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო"- ს მიერ **„საცეცხლე მომზადების სფეროში" სპეციალური გადამზადების კურსის** გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ **2018 წლის 29 ნოემბრის, №2018/277** ხელშეკრულების გაფორმების პროცედურებში **სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიასთან"** ჩვენი მონაწილეობით, ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ეკონომიკური სამსახურის უფროსი ______________ /კობა ხუბუნაია/

შესყიდვების განყოფილების უფროსი ______________ /თამარ ყუფარაძე/

შესყიდვების განყოფილების სპეციალისტი ______________ /თამარ კაპანაძე/